**რა არის CITES?**

წლების განმავლობაში ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით არალეგალურმა, უკონტროლო და დაურეგულირებელმა საერთაშორისო ვაჭრობამ გადაშენების საფრთხე შეუქმნა მცენარეთა და ცხოველთა მრავალ სახეობას. ყოველწლიურად ხდება ასობით მილიონი ველური მცენარისა და ცხოველის ამოღება ბუნებიდან სხვადასხვა ქვეყანაში მათი გაყიდვის მიზნით. მათ აგრეთვე მოიპოვებენ სხვადასხვა პროდუქტის, სამკაულების, ეგზოტიკური ტყავის და ბეწვის ნაწარმის, მუსიკალური ინსტრუმენტების, სუვენირებისა და სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად. ივარაუდება, რომ არალეგალური ვაჭრობის მოცულობა 20 მილიარდ დოლარს აღწევს და მეოთხე ადგილზეა ნარკოტიკებით, იარაღით და ადამიანების ტრეფიკინგის შემდეგ.

საერთაშორისო ვაჭრობის დარეგულირების და სახეობათა გადაშენების შეუქცევადი პროცესის თავიდან აცილების მიზნით, 1973 წელს ვაშინგტონში მიღებულ იქნა კონვენცია ***„გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES)***.

ამჟამად კონვენციის მხარეა მსოფლიოს 183 ქვეყანა. საქართველო CITES-ს შეუერთდა 1996 წელს.

**როგორ არეგულირებს CITES-ი საერთაშორისო ვაჭრობას**

CITES-ის მიხედვით, „საერთაშორისო ვაჭრობა“ ნიშნავს კონვენციის დანართებში შეტანილი ცხოველთა და მცენარეთა სახეობების ნიმუშების ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტს და ინტროდუქციას ზღვიდან (სახელმწიფოში ნებისმიერი ისეთი სახეობის შეტანას, რომელიც მოპოვებულია ნეიტრალურ წყლებში). კონვენციის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობად განიხილება პირადი საკუთრების არაკომერციული მიზნით ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაც, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

ამჟამად კონვენციით რეგულირდება მცენარეთა და ცხოველთა დაახლოებით 35000 სახეობა. სახეობების სრული ნუსხა განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://cites.org კონვენციით რეგულირდება არა მხოლოდ ცოცხალი მცენარეებითა და ცხოველებით, არამედ მათი ნაწილებითა და დერივატებით ვაჭრობაც; რაც ნიშნავს, რომ ნებართვას საჭიროებს CITES-ის დანართებში შეტანილი ცხოველების და მცენარეების, ასევე მათი ნაწილები და მათგან მიღებული პროდუქტების ნებისმიერი ტრანსსასაზღვრო გადაადგილება.

კონვენციით რეგულირდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვაჭრობის ისეთი ობიექტები როგორიც არის: მაიმუნები, თუთიყუშები, სპილოს ძვალი, მოლუსკების ნიჟარები, მარჯანი, სხვადასხვა სახეობის ნიანგის და გველის ტყავი, ზუთხი, ხმელთაშუაზღვის კუ, დელფინები, დათვი, მგელი, მტაცებელი ფრინველები, შავი ხიზილალა, კაქტუსები, ორქიდეები, და ა.შ

არალეგალური ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შემთხვევაში ტვირთი უნდა ექვემდებარება კონფისკაციას, ხოლო კანონდამრღვევი დაჯარიმებას.

**ნიმუშის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისათვის საჭირო დოკუმენტაცია**

I დანართში შეტანილი სახეობებისათვის - 1. იმპორტის ნებართვა; 2. ექსპორტის ნებართვა ან რეექსპორტის სერტიფიკატი;
II დანართში შეტანილი სახეობებისათვის - ექსპორტის ნებართვა ან რეექსპორტის სერტიფიკატი;

III დანართში შეტანილი სახეობებისათვის - იმ ქვეყნის ექსპორტის ნებართვა, რომელმაც სახეობა შეიტანა დანართში ან წარმოშობის სერტიფიკატი სხვა ქვეყნებიდან.

ნებართვები გაიცემა კონვენციის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. სხვადასხვა ქვეყანაში ადმინისტრაციული ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია კონვენციის ვებ-გვერდზე https://cites.org

**გამონაკლისები**

კონვენციის რეგულაციები ითვალისწინებს გარკვეულ გამონაკლისებს არაცოცხალი ნიმუშების არაკომერციული მიზნით ტრანსსასაზღვრო გადაადგილების შემთხვევებში:

დასაშვებია პირადი საკუთრების არაკომერციული მიზნით გადატანა ხელბარგით, იმ შემთხვევაში თუ არსებობს ნიმუშების ლეგალურად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნასყიდობა, მემკვიდრეობა, ბუნებიდან ლეგალურად მოპოვება და ა.შ). თუმცა ზოგიერთ სახეობასთან დაკავშირებით დადგენილია უნებართვოდ გადატანის მაქსიმალური ლიმიტები, მაგ: შავი ხიზილალა - არაუმეტეს 125 გრამისა; ნიანგის ტყავისაგან დამზადებული ნივთი - არა უმეტეს 4 ცალისა; ზღვის ცხენი (*Hippocampus* spp.) – არაუმეტეს 4 ცალისა; მოლუსკი (*Strombus gigas*) – არაუმეტეს 3 ცალისა; და სხვ.

CITES-ის დოკუმენტები არ სჭირდება აგრეთვე საოჯახო ნივთს, რომელიც შეძენილია იმ ქვეყანაში, სადაც მუდმივად ცხოვრობდა მისი მფლობელი და მიაქვთ ქვეყანაში, სადაც მუდმივად იცხოვრებს მფლობელი.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების სამმართველოს.

ელ-ფოსტა: teona.karchava@mepa.gov.ge